შემოსავლების
სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 19, +995 (32) 226 11 85
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
**საბაჟო დეპარტამენტი**

18970-21-10-2-202002181732

N 21-10/18970

18/02/2020

GRASS REFORMANDA
აარბ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 6
თარიღი: 21 02 2020 წ.

Fatcheck.ge-ს მთავარ რედაქტორს
ბატონ დავით გამისონიას

მის: თბილისი, კოსტავას ქ. N75გ, ბ.40
ელ. ფოსტა: info@fatcheck.ge

ბატონო დავით,

თქვენი მიმდინარე წლის 5 თებერვლის N2285 წერილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება იმპორტირებული ხილისა და, მათ შორის, ირანიდან შემოტანილი ვაშლის კონტროლს, გაცნობებთ, რომ იმპორტირებული ხილი საქართველოს საბაჟო საზღვარზე ექვემდებარება სურსათის უვნებლობის კონტროლს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N567 დადგენილების „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად და ფიტოსანიტარიულ კონტროლს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილების „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად.

ირანიდან იმპორტირებულ ვაშლზე (სეს ესნ კოდი: 0808) ხორციელდება ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები, რომელიც მოიცავს დოკუმენტურ შემოწმებას, იდენტურობის შემოწმებას და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლს. გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში (მავნე ორგანიზმების აღმოჩენა), ასევე, მაშინ, თუ პროდუქტის მახასიათებლები ეწინააღმდეგება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნებს (მაგალითად, თუ პროდუქტს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე), მიიღება უკან გაბრუნების ან განადგურების გადაწყვეტილება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ირანიდან იმპორტირებული ვაშლი ასევე კონტროლდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N740 დადგენილების "საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების

სასაზღვრო კონტროლის შესახებ" შესაბამისად. ლაბორატორიული ანალიზის შედეგად პროდუქტში გენმოდიფიცირებული ორგანიზმის შემცველობის დადასტურების შემთხვევაში ის ექვემდებარება უკან გაბრუნებას ან განადგურებას.

პატივისცემით,

ელგუჯა ბერანძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

CUSTOMS DEPARTMENT GEORGIA REVENUE SERVICE